

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების  
კატალოგი*



ქ. თბილისი

2019 წ.

## ინფორმაცია

### **სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ შესახებ**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის №176/ნ ბრძანების საფუძველზე.

ცენტრის მიზანია სხვადასხვა ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება, პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პროფესიული სტუდენტის საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების განხორციელება, მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. კოლეჯში შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მორგებულია თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს.

ცენტრში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულება გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან. ცენტრი აღჭურვილია კომპიუტერული და პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი უახლესი ტექნიკით. სასწავლებელში არსებობს მუდმივად ინტერნეტში ჩართული, პროექტორით აღჭურვილი კომპიუტერული კლასები და სასწავლო აუდიტორიები. პრაქტიკის განხორციელებისთვის დაწესებულებას დადებული აქვს მემორანდუმები პროფესიული პროგრამების შესაბამის კომპანიებთან.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქ.

[www.profgldani.ge](http://www.profgldani.ge)

[nodarkharazishvili@profgldani.ge](mailto:nodarkharazishvili@profgldani.ge)

[profgldaniedu@gmail.com](mailto:profgldaniedu@gmail.com)

ტელ: +995 570503001, + 995 32 2140314

ხელმძღვანელი: დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნოდარ ხარაზიშვილი

## საგანმანათლებლო დაწესებულების ხედვა, მისია და მიზნები

საზოგადოებრივი კოლეჯის ხედვაა, 2024 წლისთვის კოლეჯი იყოს კერძო და სახელმწიფო სექტორებისათვის მიმზიდველი პარტნიორი და მიმართულებების შესაბამისად დააკმაყოფილოს შრომის ბაზრის მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე.

საზოგადოებრივი კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები და ამოცანები:

1. ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
2. პროფესიული განათლების თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბება;
3. პროფესიული განათლების სწავლის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
4. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პიროვნების მოთხოვნებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
5. სწავლების ინოვაციური მეთოდების აპრობირება და სასწავლო პროცესში მათი ჩართვა საგანმანათლებლო საქმიანობის უახლესი შედეგების დანერგვისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის;
6. მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;
7. კოლეჯში არსებული სასწავლო პროგრამების მორგება თანამედროვე ბიზნესის მოთხოვნებს და თეორიულ სწავლებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების გათვალისწინება;
8. სასწავლო და სოციალური პარტნიორობის სისტემის ჩამოყალიბება და გააქტიურება, დაინტერესებული პირების, სახელმწიფო და კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების კოლეჯის მართვის და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვის მიზნით.

### ამ მიზნების მისაღწევად, კოლეჯი:

- უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;
- ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;
- ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას;
- ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
- ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
- თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;
- ახორციელებს ტრენინგ-კურსებსა და მოკლევადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა;
- ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე  
შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა

№	პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა საფეხურის მიხედვით					
		I	II	III	IV	V	შენიშვნა
1.	ბუღალტრული აღრიცხვა	-	-	-	-	99	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი)
2.	ვებ პროგრამისტი	-	-	-	-	115	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი)
3.	ინფორმაციის ტექნოლოგია	-	-	60	-	-	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
4.	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	-	-	-	-	104	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი)
5.	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	-	-	75	-	-	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)
6.	სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)	-	-	-	125	-	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი)
7.	საოფისე საქმე	-	-	-	59	-	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი)
8.	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	-	-	-	90	-	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (5 თვე, 30 კრედიტი)
9.	საფინანსო სერვისები	-	-	51	-	-	არაქართულენოვანი პირებისათვის ემატება ქართული ენის მოდული (2,5 თვე, 15 კრედიტი)

## 1. ბუღალტრული აღრიცხვა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting.

2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: 04114-3

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „საბუღალტრო აღრიცხვა და დაბეგვრა“, კოდი 0411, აღმწერი - „შეისწავლის ფინანსური ოპერაციების განხორციელებას, აუდიტირებასა და აღრიცხვას.“

4. მიზანი: პროგრამის მიზანია, მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

5. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანამემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

➤ ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 69, 69.20.1

➤ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3313

7. სტრუქტურა და მოდულები: პროგრამა მოიცავს 3 ზოგადი მოდულს 11 კრედიტის მოცულობით და 16 პროფესიულ მოდულს 88 კრედიტის მოცულობით, ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 99 კრედიტი (1 კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს); სწავლის ხანგრძლივობა: 17 სასწავლო თვე (68 კვირა).

მოდულების, „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირობისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

• პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ მოდულებით - 129 კრედიტი.

• პროგრამის ხანგრძლივობა 2,5 სასწავლო თვე (90 კვირა).

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	უცხოური ენა (ინგლისური)	-	5
2	მეწარმეობა 3	-	3
3	ინფორმაციული წიგნიერება 2	-	3
	<b>სულ:</b>		<b>11</b>
პროფესიული მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	-	7
2	მირითადი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოება	-	3
3	სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა	მოდული: ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	9
4	კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა	-	5
5	საგადასახადო დეკლარირება	-	4
6	სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებები	-	4
7	ინვენტარიზაცია	-	2
8	ფინანსური ანგარიშგების შედგენა	მოდული: კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა	8
9	ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით	მოდული: სააღრიცხვო მონაცემთა ბაზის შექმნა	12
10	მმართველობითი აღრიცხვა	-	8
11	Ms Excel	მოდული: ინფორმაციული წიგნიერება 2	6

12	ბიზნეს ინგლისური	-	5
13	აუდიტის საფუძვლები	-	2
14	ეკონომიკური ანალიზი	-	5
15	გაცნობითი პრაქტიკა - ბუღალტრული აღრიცხვა	-	2
16	პრაქტიკული პროექტი - ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგების მომზადება	-	6
	<b>სულ:</b>		<b>88</b>

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა
- შეავსოს და არგუმენტირება გაუკეთოს სამუშაო ფორმებს (სააღრიცხვო დოკუმენტები)
- აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები
- შეავსოს და გააგზავნოს დეკლარაციები
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება
- აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით
- აწარმოოს კონტროლი სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე
- აწარმოოს მმართველობითი აღრიცხვა
- შეასრულოს ეკონომიკური ანალიზი.

**9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**

სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ „ბუღალტრული აღრიცხვა“-ს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“

**10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:**

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
  - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
  - გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
- არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

**მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემპის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;

- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კოთხისა და მახლის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

**11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:** კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

**12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:** შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

## 2. ვებ პროგრამისტი

**1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა-** ვებ პროგრამისტი-Web Programmer.

**2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა** -06108-3.

**3. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** ვებ პროგრამისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

**4. საკანონმდებლო ბაზა:**

- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო;
- ვებპროგრამისტის პროფესიული სტანდარტი.

**5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება.

**6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:** პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ვებსტუდიაში, ონლაინ კომპანიაში და ნებისმიერი ტიპის სხვა ორგანიზაციაში, რომლის საქმიანობა შეიცავს ვებპროგრამირებას. ასევე, შესაძლებელია თვითდასაქმება და კერძო შეკვეთების შესრულება.

**7. პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია მოამზადოს პიროვნება, რომელიც შეძლებს ვებსაიტის მარკირებას მოცემული დიზაინისგან ან არსებული ელემენტებისგან, ფუნქციური და ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირების მეშვეობით რთული ამოცანების შესრულებას და მონაცემთა ბაზებთან მუშაობას.

**8. სწავლის შედეგები:** პროგრამის გავლის შემდეგ პირს შეუძლია:

- მონაცემთა ბაზის სტრუქტურის შემუშავება;
- მონაცემთა ბაზის აგება;
- მომხმარებელთა უფლებების განსაზღვრა;
- ჩანაწერების რედაქტირება;
- დასმული ამოცანის გადაჭრის ალგორითმის შემუშავება;
- ალგორითმის შესაბამისი კოდის შემუშავება;
- შექმნილი აპლიკაციის ტესტირება;
- შეცდომების/ხარვეზების აღმოჩენა/აღმოფხვრა;
- შექმნილი აპლიკაციის დოკუმენტირება.

**9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**

სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯს „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებ პროგრამისტი“.

შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს. ასევე არჩევითი სტატუსის მოდულს 6 კრედიტით.

**10. სტრუქტურა და მოდულები:**

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

პროგრამის მოცულობა- 115 კრედიტი (1კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს);

პროგრამის ხანგრძლივობა - 21,5 სასწავლო თვე (85 კვირა);

მოდულების, „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით.

ადინშული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“ პროგრამის მოცულობა „არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ მოდულებით - 145 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა 26,5 თვე.

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული/მოდულები	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი
ინფორმაციული წიგნიერება 2	3	გაცნობითი პრაქტიკა-ვებ პროგრამისტი	2	ვებტექნოლოგიებთან მუშაობა (xml, json,ajax)	6
მეწარმეობა 3	3	საწარმოო პრაქტიკა-ვებ პროგრამისტი	12		
ინგლისური ენა	5	პრაქტიკული პროექტი-ვებ პროგრამისტი	6		
		საიტის ინტერაქტივისა და ეფექტების გამოყენება - java script	3		
		საიტის ინტერაქტივისა და ეფექტების შემუშავება - JavaScript	5		
		საიტის მართვის სიტემები	5		
		ვებსერვერთან ურთიერთობა	1		
		დარგობრივი ინგლისური ენა კომპიუტერულ გრაფიკაში	2		
		მონაცემთა ბაზის პროექტირება	6		
		მონაცემთა ბაზასთან მუშაობა	8		
		მარტივი ამოცანების პროგრამირება	6		
		მონაცემთა ბაზასთან მუშაობა აპლიკაციიდან	8		
		ფუნქციონალური პროგრამირება	8		
		ობიექტზე ორიენტირებული მარტივი ამოცანების პროგრამირება	7		
		აპლიკაციის ოპტიმიზაცია და უსაფრთხოება	5		
		IT-პროექტების მენეჯმენტი	3		
		დარგობრივი ინგლისური ენა ვებტექნოლოგიებში	2		
		ვებსაიტის მარკირება - html	3		
		საიტის სტილებით გაფორმება - css	3		
		ვებმარკირების გაფართოებული შესაძლებლობები (HTML5, CSS3)	3		
<b>სულ:</b>	<b>11</b>	<b>სულ:</b>	<b>98</b>	<b>სულ:</b>	<b>6</b>

**11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:**

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

**12. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:** პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

**13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - 12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.



### 3. ინფორმაციის ტექნოლოგია

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - ინფორმაციის ტექნოლოგია / Information Technology
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა - 06112-3
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support; აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - კოდი 0612. აღმწერი - „შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც“.
4. ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული პროგრამის მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი პროფესიული პროგრამა, რომელიც ინფორმაციის ტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას; პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადებას, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.
5. დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება
6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.
  - ✓ ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.09.0; 95.11; 95.11.0
  - ✓ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3512
7. სტრუქტურა და მოდულები: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 60 კრედიტი, რომელთაგან 16 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 31 კრედიტი არის საერთო სავალდებულო პროფესიული მოდულები, 13 კრედიტი არის პროფესიული მოდულები. სწავლების ხანგრძლივობაა 43 სასწავლო კვირა (11 თვე) (1 კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს). მოდულის, „ქართული ენა A2“, გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ქართული ენა A2 მოდულით - 75 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა 13.5 სასწავლო თვე (53 კვირა)

ინფორმაციის ტექნოლოგია (Information Technology)			
ზოგადი მოდულები (ჯამურად 16 კრედიტი)			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	-	3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	-	3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება	-	2
4.	მეწარმეობა 1	-	2
5.	სამოქალაქო განათლება	-	2
6.	უცხოური ენა (ინგლისური)	-	4
საერთო პროფესიული მოდულები (ჯამურად 31 კრედიტი)			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა	-	7
2	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა	-	7
3	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები	-	4
4	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	-	6
5	კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები	-	7
პროფესიული მოდულები (ჯამურად 13 კრედიტი)			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი

1.	გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	-	1
2.	პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	ყველა პროფესიული მოდული	6
3.	დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support		6

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:**

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:

- ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
- დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
- დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
- დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
- განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
- გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP, OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
- გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
- შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
- მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის დიდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

**9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:** სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯს „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ ინფორმაციის ტექნოლოგიის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“.

**10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:**

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით
  - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით
  - გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
- არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

**მართლმეტყველება:**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემპის ცვალებადობა).

**მართლწერა:**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;

- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.
- 11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:** პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
  - 12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:** შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

#### 4. კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი

- 1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა:** კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი.
- 2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა:** 06102-პ.
- 3. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
- 4. საკანონმდებლო ბაზა:**
  - საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
  - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო;
  - კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის პროფესიული სტანდარტი.
- 5. დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება.
- 6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:** პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს საჯარო ან კერძო სტრუქტურაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, ქსელური ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების განხრით. აგრეთვე შეუძლია იმუშაოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ან იყოს პროფესიული მასწავლებელი.
- 7. მიზანი:** პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექმნება პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი თეორიული ცოდნა; შეეძლება ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მოსალოდნელი რისკების და პრობლემების წინასწარ განსაზღვრა და მათი თავიდან აცილება, პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში სწრაფი ანალიზის გაკეთება და ოპერატიული რეაგირება.
- 8. სწავლის შედეგები:** პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:
  - ქსელური ინფრასტრუქტურის გამართვა
  - ქსელური ინფრასტრუქტურის მუშაობის უზრუნველყოფა
  - შიდა კაბელიზაციის და ქსელური ინფრასტრუქტურის დაგეგმვა
  - ქსელური უსაფრთხოების ნორმების დანერგვა და დაცვა
- 9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:** სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯს „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ ჩარჩო დოკუმენტის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი“ საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ყველა სავალდებულო ზოგად, სავალდებულო პროფესიულ მოდულს და ერთ არჩევით მოდულს.
- 10. სტრუქტურა და მოდულები:** პროგრამის მოცულობა: 104 კრედიტი (1კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს); პროგრამის ხანგრძლივობა: 19,5 სასწავლო თვე (78 კვირა). მოდულების, „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“- ით -134 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა 24,5 სასწავლო თვე.

სავალდებულო ზოგადი მოდულები		სავალდებულო პროფესიული მოდულები		არჩევითი მოდული	
დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი	დასახელება	კრედიტი

ინფორმაციული წიგნიერება 2	3	გაცნობითი პრაქტიკა-კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	2	Microsoft Wondows Server ოპერაციული სისტემის საფუძვლები	3
მეწარმეობა 3	3	საწარმოო პრაქტიკა-კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	12		
ინგლისური ენა	5	პრაქტიკული პროექტი-კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	6		
		მონიტორინგის და ინციდენტების აღმოჩენის სერვისები, უსაფრთხოების საფუძვლები	4		
		ფიზიკური ქსელის დაგეგმვა და განხორციელება	4		
		მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლების საფუძვლები(Static, RIP, EIGRP, OSPF)	6		
		მეორე დონის პროტოკოლები და ტექნოლოგიები	8		
		მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლი (OSPF,EIGRP,Redistribution)	8		
		ქსელური აპარატურის და ტექნოლოგიების უსაფრთხოება	8		
		შიდა და გარე კომუნიკაციები, უსაფრთხო კავშირები და WAN ჩართვები (VPN, NATPAT, MPLS Applications)	5		
		მესამე დონის მარშრუტიზაციის პროტოკოლი BGP	4		
		არსებული ქსელური ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და მონიტორინგი	6		
		IT-პროექტების მენეჯმენტი	3		
		ქსელის საფუძვლები, კომპონენტები და აპარატურა, უსადენო ქსელის საფუძვლები	5		
		IPv4 IPv6 ადრესაცია და ქსელის ქვექსელებად დაყოფა	4		
		მეორე დონის პროტოკოლების და ტექნოლოგიების საფუძვლები	5		
სულ:	11	სულ:	90		3

**11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:** კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება:

- განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

- განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

**12. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:** პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

**13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - 12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

## 5. საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი

1. ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი.
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა: 06104-პ.
3. მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
4. საკანონმდებლო ბაზა:
  - საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
  - ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო;
  - საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერის პროფესიული სტანდარტი.

### 5. დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

**მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროს ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემპის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირბელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

**11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:** პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

**12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:** შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე -11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილი:**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ძირითადი ადგილია სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“, ქ. თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შემავალი ცალკეული მოდულების განხორციელების ადგილი განსაზღვრულია მოდულების მიხედვით.

**სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“  
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი**

წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი კოლეჯი - „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების წესს, არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა მობილობას, ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას, კოლეჯის მიერ მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესს და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

**მუხლი 1. ტერმინთა განმარტება**

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) კოლეჯი - სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“;
- ბ) **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** – სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესი;
- გ) **პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი (ჩარჩო დოკუმენტი)** – დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნების (მათი არსებობის შემთხვევაში) ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა;
- დ) **მოდული** – პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;
- ე) **კომპეტენცია** – სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობა;
- ვ) **კრედიტი** – ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად;
- ზ) **კვალიფიკაცია** – უფლებამოსილი დაწესებულების/დაწესებულებების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით;
- თ) **დიპლომი** – უფლებამოსილი დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ი) **დიპლომის დანართი/სერტიფიკატის დანართი** – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან/სერტიფიკატთან ერთად გასცემს საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად;
- კ) **ფორმალური განათლება** – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შექმნას და აღნიშნულის სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებას;
- ლ) **არაფორმალური განათლება** – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი;
- მ) **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა** – შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო



პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადაზრდაების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;

ნ) **ინკლუზიური პროფესიული განათლება** – თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება;

ო) **სტუდენტის სტატუსის შეჩერება** - პროფესიული სტუდენტის სტატუსის დროებით შეჩერება, რომელიც არ გულისხმობს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;

პ) **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა** - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და კოლეჯში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სიიდან მისი ამორიცხვა;

ჟ) **მობილობა** - პროფესიული სტუდენტის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

რ) **შიდა მობილობა** - პროფესიული სტუდენტის კოლეჯის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა.

### **მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება**

1. პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული ტესტირების ჩაბარების საფუძველზე უფლება აქვს მიიღოს პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა და უნარები.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია კოლეჯის დირექტორის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.
3. პირის კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### **მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
  - ა) სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება;
  - ბ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, თუ გასული არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;
  - გ) ჯანმრთელობის მდგომარეობა;
  - დ) სამხედრო სამსახურში გაწვევა, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა;
  - ე) უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში/საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „დ“, „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველების არსებობისას პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით წერილობით მიმართავს კოლეჯს. იგი ვალდებულია, წარადგინოს ზემოთაღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების დამადასტურებელი, შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.
5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისას, სტატუსის შეჩერების ვადას შესაბამისი გარემოებების შეფასების საფუძველზე კოლეჯის უფლებამოსილი თანამშრომლის რეკომენდაციის საფუძველზე ადგენს კოლეჯის დირექტორი. ზემოთაღნიშნული საფუძველით არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში არაუგვიანეს სამუშაო 5 დღისა ეცნობება მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.
6. კოლეჯის უფლებამოსილი თანამშრომლის დასაბუთებული შუამდგომლობით შესაძლებელია, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე, რის თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.
7. პროფესიულმა სტუდენტმა/პროფესიული სტუდენტის მშობელმა/კანონიერი წარმომადგენელმა, რომელსაც სურს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა, აღნიშნულის თაობაზე, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში წერილობით უნდა მიმართოს კოლეჯს ან მის უფლებამონაცვლეს.
8. კოლეჯის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე, სტუდენტი მიიჩნევა პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირად.
9. პროფესიული სტუდენტი, რომელსაც აღუდგება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ ეტაპიდან, რომელზეც შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

#### **მუხლის 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
  - ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლა (თუ არ განხორციელდა მისი, როგორც პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა);
  - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
  - გ) პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;
  - დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
  - ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა ან/და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების 1/3-ის გაცდენა;
  - ვ) კოლეჯის შინაგანაწესის მოთხოვნათა უხეში დარღვევა;
  - ზ) გარდაცვალება;
  - თ) დაწესებულებისათვის ყალბი დოკუმენტის, არასწორი ინფორმაციის წარდგენა, ან ისეთი დოკუმენტის, ინფორმაციის გონივრულ ვადაში წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;
  - ი) თვითდაფინანსების შემთხვევაში ფინანსური დავალიანება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას კოლეჯის უფლებამოსილი თანამშრომლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.
4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

#### **მუხლი 5. მობილობა**

1. პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებას ახორციელებს კოლეჯის დირექტორი.
2. ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობა (მათ შორის, შიდა მობილობა) შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე 1 თვით ადრე.
3. სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მობილობის შემთხვევაში (მათ შორის, შიდა მობილობის დროს) პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამისი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან 3 კვირის შემდეგ, აღნიშნული წესიდან გამონაკლისის თაობაზე გადაწყვეტილებას შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით იღებს კოლეჯის დირექტორი.
4. მობილობის უფლების მქონე პირი:
  - ა) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
  - ბ) პირი, რომელსაც მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.
5. მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტი წერილობით მიმართავს კოლეჯს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩარიცხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები. კოლეჯის მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია, რაც განცხადების რეგისტრაციისას ეცნობება მობილობის მსურველს და განესაზღვრება ვადა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოსადგენად, დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა პირისათვის მობილობაზე უარის თქმის საფუძველია.
6. მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც განიხილავს მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას და შესაბამის რეკომენდაციას უწევს კოლეჯის დირექტორს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.
7. პროფესიული სტუდენტის მობილობის გზით კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.

#### **მუხლი 6. შიდა მობილობა**

1. შიდა მობილობის ადმინისტრირებას ახორციელებს კოლეჯი.
2. შიდა მობილობის უფლების მქონე პირი:
  - ა) კოლეჯის პროფესიული სტუდენტი;

- ბ) კოლეჯის პროფესიული სტუდენტი, რომელსაც მობილობის მომენტისათვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
3. შიდა მობილობა შეიძლება განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის დასრულებამდე 1 თვით ადრე.
  4. შიდა მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტი წერილობით მიმართავს კოლეჯს შესაბამისი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მოთხოვნით. კოლეჯის მიერ შესაძლებელია მოთხოვნით იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია, რაც განცხადების რეგისტრაციისას ეცნობება მობილობის მსურველს და განესაზღვრება ვადა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოსადგენად. დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა პირის მობილობაზე უარის თქმის საფუძველია.
  5. შიდა მობილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

#### **მუხლი 7. მიღებული განათლების აღიარების წესი**

1. კოლეჯი ადგენს მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე შიდა მობილობის შემთხვევაში სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების კოლეჯის იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან თავსებადობას, რომელზეც ხორციელდება მობილობა, რომელიც არ შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული მოცულობის 75%-ზე ნაკლები და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
2. აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო დაწესებულების იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. შესაძლებელია კოლეჯის მიერ დადგინდეს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი და კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულების შესაბამისობა მათ დასახელებაში არსებული სხვაობის მიუხედავად.
4. შიდა მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარება ხდება კოლეჯის მიერ. შიდა მობილობის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის შესაბამისი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მიეთითება ინფორმაცია აღიარებული კრედიტების რაოდენობის შესახებ.
5. პროფესიული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება ფორმდება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აღიარებული კრედიტების შესახებ ინფორმაციის მითითებით.
6. კოლეჯი უფლებამოსილია, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი შესაბამისი კომისიის მიერ ჩატარებული გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს პირის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების შემოწმება და მათი შესაბამისი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა. თავსებადობის არარსებობა შესაძლებელია გახდეს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი.

#### **მუხლი 8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.
2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
3. კოლეჯში მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არარსებობის შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის საერთო პირობების შესახებ.

#### **მუხლი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო პროცესის ორგანიზება**

1. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ბრძანება პროგრამებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისიანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (დატვირთვა) მოიცავს 8 საკონტაქტო საათს (აკადემიური საათი - 50 წუთი), რომელთა შორის შესვენება 10 წუთია.
5. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.
6. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით, რომელიც შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შესაბამისად.
7. სალექციო განრიგი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
  - ა) მოდულის დასახელება;
  - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლის სახელი, გვარი;
  - გ) ლექციის დაწყებისა და დასრულების დრო.
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების დრო და არდადეგები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

**მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის გაცდენების კოლეჯის მიერ საპატიოდ ჩათვლა**

1. პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის (1/3-ის გაცდენა) კონკრეტული პროფესიული სტუდენტის მიმართ გაუვრცელებლობისა და გაცდენების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე.
2. პროფესიულ სტუდენტს გაცდენა ჩათვლება საპატიოდ, თუ გაცდენის მიზეზს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის:
  - ა) საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო და სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა, მოკლევადიანი ვიზიტით გამგზავრება საზღვარგარეთ სასწავლო საგანმანათლებლო მიზნებისთვის (მონაწილეობა ტრენინგებში, კონფერენციებში და ა.შ.), მაგრამ არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;
  - ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობა (შესაბამისი დოკუმენტის გაცემიდან 10 სამუშაო დღეში წარმოდგენის შემთხვევაში);
  - გ) ოჯახური პირობები.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას პროფესიულმა სტუდენტმა/პროფესიული სტუდენტის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, ხოლო „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძველით პროფესიული სტუდენტის გაცდენების საპატიოდ ჩათვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვაში აღნიშნული გარემოებების შეფასებისა და კოლეჯის უფლებამოსილი თანამშრომლის შესაბამისი რეკომენდაციის საფუძველზე.
4. პროფესიული სტუდენტის გაცდენების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.

**მუხლი 11. კოლეჯის მიერ ტრენინგ-კურსების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელების წესი**

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის N176/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად, კოლეჯი უფლებამოსილია, განახორციელოს სხვადასხვა ტრენინგ-კურსები/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა.
2. კოლეჯი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სხვადასხვა ტრენინგ-კურსები/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები, რომელთა დასრულების შემდეგ კოლეჯის მიერ გაიცემა სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ შესაბამისი ტრენინგ-კურს(ებ)ის/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის, პროფესიული მომზადების პროგრამ(ებ)ის, პროფესიული გადამზადების პროგრამ(ებ)ის ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამ(ებ)ის გავლის ან დასრულების ფაქტს.
3. შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევისა და მიღების შესახებ ხელშეკრულებები სხვადასხვა ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების მსმენელებთან და განმახორციელებლებთან ფორმდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. კოლეჯის მიერ სხვადასხვა ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და სხვა საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

### **მუხლი 12. პროფესიული სტუდენტთა შეფასების სისტემა**

1. კოლეჯი აფასებს პროფესიული სტუდენტის ცოდნასა და უნარებს. შეფასებისას ყურადღება ექცევა სტუდენტის აქტიურობას ლექციაზე, მის ჩართულობას სწავლების პროცესში და შემოქმედებითობას.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს ამ მოდულზე (რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ 1 (ერთი) მცდელობის მიუხედავად მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს ხელახლა.
4. თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა, აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ერთჯერადად.

### **მუხლი 13. პროფესიული სტუდენტთა მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების გასაჩივრების წესი**

1. დასკვნითი შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება 5 დღის ვადაში.
2. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 2 დღისა, წერილობითი საჩივარი წარადგინოს კოლეჯის კანცელარიაში, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელს იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს.
3. შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით საჩივარს განიხილავს 2 დღის ვადაში.
4. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი (მოდულის შედეგი, პროექტი ან სხვა ნაშრომი) ფასდება მხოლოდ ერთი შემფასებლის მიერ და პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, მასთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით, შესაძლოა შემფასებლად გამოყოფილ იქნას კოლეჯის შესაბამისი დარგის/კომპტენციის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე.
5. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შედეგის გაპროტესტების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა, უფლებამოსილია პროფესიული სტუდენტის შეფასება შეცვალოს (პროფესიული სტუდენტის სასარგებლოდ) ან დატოვოს ძალაში, თუ პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილი საჩივარი უსაფუძვლო ან დაუსაბუთებელია.
6. პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებელი/კომისიის თავმჯდომარე კოლეჯის დირექტორის სახელზე წარადგენს სამსახურებრივ ბარათს შეფასების კორექტირების თაობაზე შესაბამის უწყისში.
7. ზოგადი ხასიათის წერილობითი საჩივარი, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული თუ რას აპროტესტებს პროფესიული სტუდენტი, არ განიხილება. გადაწყვეტილება პროტესტის განუხილველად დატოვების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
8. პროტესტის განხილვის შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება წერილობითი საჩივრის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.
9. აღნიშნული წესი არ ვრცელდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე.

### **მუხლი 14. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური სახით - მტკიცებულებებით, რომელთა სახეობები განისაზღვრება შესაბამისი მოდულიური პროგრამებით.
2. მტკიცებულებათა შეგროვება და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ან/და სწავლის დასრულებისას.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილ მტკიცებულებათა კოლექში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას შენახვას და მათ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია.
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლექში დაცულია და ინახება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად.

**მუხლი 15. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შენახვისა და გამოყენების, სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შექმნასა და შენახვას აწარმოებს კოლეჯი.
2. პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო მასალების გამოყენება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნით. პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო მასალების გამოყენების პროცესს მეთვალყურეობას უწევს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი.
3. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვას კოლეჯში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია.
4. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელ მტკიცებულებას, შესაძლებელია, ამ წესის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადით კოლეჯში ინახებოდეს იმ ვიდეო ან/და ფოტო ან სხვა მასალის სახით, რომელშიც ასახულია ზემოთაღნიშნული მტკიცებულება.